ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2703366

ნომერი: AR1412282

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 11.07.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჟენია ზაქარაშვილი პ/ნ 01030020597
- თბილისი ნ.ჩხეიძის ქ. N 30

ორგანიზაცია:
- შპს "კლასიკ დეველოპმენტ" კოდი: 402020184

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 13 ივნისის #AR1412282 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კედიას ქ. #8–ში, საკადასტრო გეგმით #01.13.06.008.078 მიწის ნაკვეთზე უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (ბრძანება № 2051226) ცვლილების შეტანას კერძოდ: საკადასტრო გეგმის ცვლილებას, ახალი კოდისა და ფართობის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ატვირთული დასაბუთების ფარგლებში მითითებულ საპროექტო არეალზე, რომლის ამორიცხვაზეც დგას დღეს მოთხოვნა, გათვალისწინებულია ობიექტთან მისასვლელი გზის მოწყობა. შესაბამისად ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აღნიშნული არეალის ერთიანი პროექტიდან ამოღება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაბამისად, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.